თბილისის “დინამოს” მეექვსე გამარჯვება
1:0

გუშინ მოსკოვში შესდგა “სსრ კავშირის თასის” გათამაშების ნახევარფინალი. თამაშობდნენ თბილისის “დინამოს” (ოსტატები) და მოსკოვის ცდკა-ს ფეხბურთის გუნდები.

მატჩის პირველი ნახევარი ჩატარდა მოსკოვის ფეხბურთელების უპირატესობით. ცდკა-ს თავდასხმამ ბევრი საშიში მომენტები შექმნა თბილისის “დინამოს” კარებთან. შესანიშნავად თამაშობდნენ “დინამოს” მეკარე დოროხოვი და გუნდის კაპიტანი შოთა შავგულიძე.

მე-39 წუთზე “დინამოს” თავდასხმა აკეთებს ლამაზ კომბინაციას, რის შედეგადაც ცენტრფორვარდს პაიჭაძეს გააქვს პირველი ბურთი მოწინააღმდეგის კარებში.

მატჩის მეორე ტაიმში ინციატივა მთლიანად თბილისელების ხელში გადადის. 45 წუთის თამაშმა არავითარი შედეგი არ მოიტანა, ვერც ერთმა გუნდმა ვერ შესძლო ბურთის გატანა. მატჩის დამთავრებამდე ანგარიში უცვლელი რჩება და თბილისის “დინამო” გამარჯვებული სტოვებს მოედანს. ამ გამარჯვებამ თბილისის “დინამოს” მოუპოვა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება, გავიდა რა ამით გათამაშების ფინალში “სსრ კავშირის თასზე”.

3 ივლისს მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდება მატჩი (ნახევარფინალი) მოსკოვის “დინამოს” და მოსკოვის “ლოკომოტივს” შორის. გამარჯვებული მათ შორის 6 ივლისს მოსკოვში (ფინალში) შეხვდება თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებს.

“ახალგაზრდა კომუნისტი” 2 ივლისი, 1937 წ.